ღერო ზღაპრულ ღრუბელთა მსუბუქ ფრთებით მოეკანება ჩვენსკენ სიყვარული, რათა მან მძლავრი გრგვინით, თავის ოქროს ზანებათა ოქროს ნემსებით დასწვლიტოს სული ჩვენი, რათა მან ოცნების გაზაფხულთა, ყვავილებით და ოქროს ქსოვილებით დაატკბოს გულს ჩვენი, მარტოდ შთინული და მოტყუებული. სიკვდილი ჰფარავს მგზნებარე ენებას ცრელთა მდინარისაგან შექმნილი ღრუბლებით და ამოსტყორცნის ხალხთა და სამყვით, რომელთაც ელის ცივი დავიწყება და გახრწნა... სიყვარული ცეცხლი უქვია, მაგრამ იგი არ იწვის, ვითა არ იწვოდნა ბაბილონი ცეცხლმოკიდებულ ზირგზე; სიკვდილმა არ უწყის—რა არის ღვთიური წვა. სიყვარული ცეცხლში იწითება და კოცნა მისი გვისხნის მთელს სიღრმეებს კოსმურ ტანჯვა-დაქანტულობისა (?); იგი აერთებს ოცნების ოკეანში უსაზრო ღრუბრებს და დემონურ სიკვდილს მიწისა; სიკვდილი აშორებს ცას და დედამიწას ერთმანეთის მსოფლიო სივრცეთა სიცივით... ბასრი და ბრწყინვალე წვეტიანი ეკრება სიყვარული უძრავ, ცივს მარმარილოს და შემოქმედებით აღტაცებაში ამოაღვივებს მისგან სხივსანს, მკვეთრ სახეს ნათელი მოზღმირე (თუ მოზღმირე?) გულის დედოფლისა: სუნთქვა სიყვარულისა უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილის სუნთქვაა. *)

ასე უხვად ჩვენ განგებ ამოვიწერეთ ეს სტრიქონები, რასაც, იმედია, მკითხველი გვაპატიებს. როგორც ესთქვი, ეს ადგალი მოქ. კაპანელის „ახალ სისტემაში“ არც მთლიან მკითხველს ანარეკლს წარმოადგენს. ყოველივე იმისას, რაც „მეცხვის ტყუილისა“, „განდევლისა“, „რომელიც დაჯილდოვდა“-ს, „ბიჭტორია“-ს, „სამარადისო ზღაპარი“-ს, „სალომე“-ს, „სტრისტან და იზოლდა“-სა და სხვ. ასეთ ნაწარმოებების ავტორები სიყვარულის მარადისობის შესახებ გეუბნებიან. გაცილებით მეტიც: ასეთ სტრიქონების შესაკინძალი მოქ. კაპანელისთვის სასველი საკმარისი იქნებოდა, ჩვენი ბელეტრისტის, უტყუარ ნიჭის პატრონ არ. ჭუმბაძის**) „მთის სული“, ზღვის ქალი“ და სხვ. მისი ესკიზები და ნოველები რომ გადაეკითხა. სიტყვების ასე რახარებით ის ვერც ვერაფერს მოიხილავს და ვერც დააშინებს. ხოლო რაც შეეხება იმ აზრს, რომელიც მოყვანილი სტრიქონები წითელი ზოლივითა გატარებულია—ამ მხრივ მოქ. კაპანელი იგივე არააობა დარჩა, რაც იქამდის იყო.

ღიბს, შეისახს რა ქება-დიდებას, სიყვარულს და აღიარებს რა მას სიკვდილზე უძლიერესათ, ის ასე „სოლიდურათ“ დასკვნის: „სიყვარული საშაღავია—საშაღავია, რომელსაც ამაღლებს თვით ბუნება, ყოველი იმედი ფუქია, წუთისათვის ცხოვრება უმინაო და უაზროა.***)

*) იქვე—108—109 გვ.
**) არა თუ ნიჭიერ არ. ჭუმბაძის, არამედ თვით უნიკო ნოველისტის მოლექსეს ნაწარმოების გადაკითხვითაც მოქ. კაპანელი თავის „დიდ“ მიზანს ადვილად მიაღწევდა.
***) იქვე—გვ. 109.

მელიც არ ვიცი სხვას რად უყვირებს თავის თავზე კრიტიკის წერას.

მხოლოდ ერთი რამ არის ძალიან გასაკვირვებელი. სახელდობრ ისა, რომ მარუთას სათაურები და გაზეთების ნომრები მოჰყავს ვითომ იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ლექსებსა აქვს მჭიდროვებულად გავლენა, ხოლო არ მოჰყავს ტესტის შემდეგის მოსაზრებით: „მე უხერხულად მივიჩნიე მჭიდროვებულის ლექსთა ციტატების მოყვანა გრიშაშვილთანაო“.

საკვირველია, რომ მარუთას ეთაცლებო ჩემი ლექსების ციტატების მოყვანა გრიშაშვილის ტექსტთან, მაგრამ ის უფრო საკუთრებელია, რომ გრიშაშვილს არ ეთაცლებოდა და საშუალოდ კანონიერად სწერდა ჩემი სტრიქონების ქვეშ თავის გვარს. *)

მკითხველმა დასდოს მსჯავრი როგორც მჭიდროვებულის ისე მარუთას.

ბოლოს და ბოლოს მე სრულებითაც არ ვითაცლებ თუ ჩემს ლექსს დაეცნო გავლენა აქაცის, ილიასი, ბაირონის და ან კიდევ თვით გენიოს გრიშაშვილისა. მე ვითაცლებდი იმას, თუ გავლენის ქვეშ დაწერილი ლექსი უფრო სუსტი იქნებოდა, ვიდრე ის რომლის გავლენითაც არის დაწერილი. მაგრამ ესეც ისევე პატიოსანი და მიუღლომელი კრიტიკოსის საქმეა და არა ჩვენი, რომელთაც ცაქუდათ არ მიგვაჩნია და დედამიწა ქალანდა. ჩვენს თავს გერასოდეს სწორე აღავს ვერ მივცემთ და თვით მარუთასთან კამარიც მაგონებს ბუნებას, იმ მეტაქვე კინტოსას, რომელიც თავის ძმას უწმაწური სიტყვებით დედას შეაგინებს და ღამე საღმე ბნელ კუთხეში ბებუთს დაარტყავს ჩემზე მეტი რათ ივაჭრო.

აი, წერტილი. თუ მართლა დასასმელია სადმე სწორედ აქ უნდა დაისვას.

ი. მჭედლიშვილი.

*) წინა წერილში მე მოვიყვანე გრიშაშვილის მიერ ჩემი იმავე პატარა ლექსიდან უცვლელად აღებული ორი სტრიქონი „მზემ ის კი არა, მან მზე გვიჩვენა“, რომლის შესახებაც მარუთა მეცნიერულად განუხილა და იგი მე მეუბნება სხვისა ნასუფრალით იკვებებო. ეს მართალია, რომ მე სხვისა ნასუფრალით ვიკვებები, მაგრამ მარუთას ნუ დაავიწყდება, სხვისა ნასუფრალით გამოკვებით მჭედლიშვილის ნასუფრალით კიდევ ხან და ხან გამოკვებება ხოლმე თვით უდიდესი პოეტი ი. გრიშაშვილი.

ი. მჭ.

მამ რანაირათაა „სიყვარულის სუნთქვა სიკვდილის სუნთქვაზე უძლიერესი“? მამ რატომ მოგვაბეზრეთ თავი სიყვარულის სიდიადეზე ამდენი ლაუბობით! რის თქმა გინებათ? იქნებ ეს ტყუილად, ისე უბრალოდ, „უმიზეზო“, ე. ი. მოწყენილობისაგან დროებით მაინც თავის დასახსნელად გადაშალეთ თქვენი „დღიური“ და მიყავით ხელი წერას? უეჭველია, ეს ასეა და მიტომაც თქვენი „სული და იდეა“ წინოსადმი თუ თინოსადმი უიმედო სიყვარულით აყვებულნი, აღმთავრებული გიმნაზიელის „დღიურს“ წარმოადგენს! მაგრამ, მოქ. კაპანელი, მიუხედავად ამისა, ეს კი უნდა დივიჯორით, რომ „სუნთქვა სიყვარულისა უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილის სუნთქვა“, რომ სიყვარული აბსოლიტური ჰეგმონია იყო, არის და იქნება მარად ყველა იმათთვის, ვინც ამ ქვეყნად შობილა ამ ქვეყნისთვის—ბრძოლა და მოქმედებისთვის, ცეცხლისა და მახვილით; კალმითა და ჩაქუჩით, ნგრევად-შენებისთვისა და დამსხვრევად-შემოქმედებისათვის.

ღიბს, მართალს ამბობს ბაკუნინი: „სული და მანგრეველი არის სული აღმშენებელი“.

ეს სულია სიყვარული! და ნეტარება მას, ვისაც „ზოლით—ზოლი შეუძლია და სიყვარულით—სიყვარული!

ასეთი სულის—სულია სიყვარული! შეიძლება ადამიანს არც სიყვარული გწამდეს, არც ცხოვრების მარადისობა, არც ლოღიკური კანონების აბსოლუტობა და არც სხვ. ბევრი რამ, მაგრამ თუ კი ჩვენი მედღერება თუ გამეღერება იქამდის მიდის, რომ „შემოქმედებითი გამჭირაობით“ მთელი ფილოსოფიურ-ესთეტიკურ ახალ სისტემას ვქმნით, იმ შემთხვევაში, თუ მეტი არა, ისეთი პაწია რამ მაინც უნდა ვიცოდეთ, მშვენიერებისა და სილამაზის ცნებანი ერთი-მეორისაგან თუ რით განსხვავდებიან, ანდა იგივეობას თუ წარმოადგენენ?

ჩვენმა „ფილოსოფოსმა“ ამ მხრივ მხოლოდინს მეტად გადააჭარბა, როცა „მშვენიერების იდეა“-ს შეუღდა განსამარტავით. ის ისე თავისუფლად ხმარობს სიტყვებს „მშვენიერია“ და „ლამაზი“ თითქო ეს ცნებანი ერთი და იგივე იყოს.

ის ბრძანებს: „მშვენიერება ინდივიდუალურ-ეროტიული სურვილებისა და გულის ენებათა ილიუზიური განსხვავება (არას დროს!) ერთხელ თურმე ინდივიდის ღმერთი ვიწმუნებდა მშვენიერ ქალწულს და დაუწყო მას გაშვებით ცქერა; ქალწულმა ვერ აიტანა ვიწმუნს თვალის სიბასრე და უცბათ ამოფარა ღმერთს უკან; მაშინ თურმე ღმერთს კინჩებ ამოვიდა თვალები და დაუწყო ცქერა ქალწულს: ძლიერია ინდივიდუალობაში სურვილის ძალა“.

რასაკვირველია, ძლიერია ინდივიდუალობაში სურვილის ძალა, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, როცა ქარის წისქვილებს ებრძვიან დასახსვრევით.

ასეთ მსჯელობას სილამაზესა და მშვენიერებაზე სამეგრელოს სოფლის ის დედაკაცი შესძლებს, რომელიც კაპანელის ღრმა რწმენით, ცნობილი ფლამარიონზე ნაკლებად არ არის გაცნობილი მთავარის ვინაობასთან.

ნ. კ. კრუჰსკაია. თვითგანვითარების ორგანიზაცია. გამოცემა საქ. ახალგაზრდობის კომუნისტ. კავშირისა. 68 გვ.; ფასი 10 კაპ. ოქროთი.

საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი ჩვენში კულტურულ მუშაობასაც ეწევა: იგი განსაზღვრული გეგმით და წინდაწინვე შემუშავებული პროგრამით შეუღდა საჭირო წიგნების გამოცემას. წინამდებარე წიგნაკი უკვე მეცხრე წიგნია, რომელიც ამ კავშირის თაოსნობით ითარგმნება და იბეჭდება.

დღეს, როცა მუშის და გლეხის ფართოდ აქვს გახსნილი თვითგანვითარების გზა, როცა მას მართლაც ემჩნევა დიდი ლტოლვა ცოდნისადმი, როცა ის, ანაზის შეთვისებისთანავე, ხარბად ეწაფება ყოველგვარ წიგნს, —გარკვეული სისტემის შემუშავება, თვითგანვითარების მოწყობის გზა—ეს მართლაც რომ მორიგი და გადაუღებელი საქმეა მისთვის.

ამ მხრივ კრუჰსკაიას წიგნაკის გამოცემა სწორედ რომ მიზანშეწონილი და თანადროულია და დიდს სამსახურს გაუწევს ყველა იმას, ვისაც თვითგანვითარების საქმეში დახელოვნებული ხელმძღვანელი და დამრიგებელი არა ჰყავს.

საერთოდ ეს წიგნაკი წინაინადა ნათარგმნი, მაგრამ აქვს მას თავიანი ნაკლიც, რომელსაც საგამომცემლო სექციამ კომ. კავშირისამ ეხლავე სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოს და რომელიც შემდეგ გამოცემებში თავიდან აიცილოს. წიგნი რუსული ორგანულის ძლიერი ზეგავლენით არის ნათარგმნი. ხშირად გვხვდება წინადადების რუსული კონსტრუქცია, რაც უეჭველია წიგნაკის პოპულიზრობას ხელს უშლის. სანიშნოდ ორიოდ აღვიღო მნიშვნელოვანი.



მაგნიტური კომპაზის მაგნიტად რადიო. მას შემდეგ, რაც გეგმის შენება რკინის დიდი მასებთან დაიწყო, ძველი კომპაზი საიმედო აღარ შეიქნა; მაგნიტური ისარი ამ მასებზე გავლენით იხრება ჩვეულებრივ მდგომარეობიდან, ხდება ე. წ. დევიაცია. საწინააღმდეგო გამონახულ იქნა შესაფერის საშუალება. ამჟამად მიმართავენ ახალ მეთოდს უმაღლეს ტელეგრაფისას; ეს ხდება მას

განა სოფლის დედაკაციც არ ამბობენ.—რა მშვენიერი ქალია, რა მშვენიერი თვალები აქვს, რა მშვენიერი სახე, ცხვირი, კბილები, ფეხები და თვით რა მშვენიერი ფენსაცმელებიც აქვსო! და სხვა.

განა შეიძლება ქალს, ქაწულს ან ვაჟს და საერთოდ ყოველზე ცოცხალ არსებას მშვენიერი ვუწოდოთ? რე თუ ვისაც მშვენიერების შესახებ მსჯელობა სურს, ამის შესახებ მან ორიოდ წიგნი მაინც არ უნდა გადაკითხოს ესტეტიკაში.

რა არის მშვენიერება? რა არის სილამაზე? რით განსხვავდება პირველი მეორისგან? მშვენიერება არის ის, რაც უცვლელი და უკვდავია; რასაც ვერც სკამს, ვერც შესვამ, ვერც გულში ჩაიკრავს გნების დასაქმყოფილებით და სხვ. ეწოდება მშვენიერება. ასეთია ლეონარდო-და-ვინჩის „ჯიოკონდა“ ბეთხოვენის მეცხრე სიმფონია, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, შექპირის „ჰამლეტი“ და სხვ.

ვინ უმღერებს სულთათნას ბეთხოვენის მეცხრე სიმფონია, რომელიც ნაპოლეონისთვის სურდა მიძღვნა მას, ოსკარ უალდის „სალომე“-ს, სტანისლავ პშიბიშვესკის „სამარადისო ზღაპარს“ სანდრო ზნაშიაშვილის „ქალი გრძნელა“-ს? თქვენ გგონიათ რომ! ციხეში! დროს თვით იმითავე უგალობეს სულთათნა. მიტომაც მშვენიერება მარად ძლის—რი და უკვდავია, ვით სიყვარულის ცეცხლიც! *)

აბა, ლამაზი არა თუ ჩემი დები—ქართველი ქალები, თვით ჩემი ძალიცა, ჩემი ცხვირ მოკლე „ორობა“. „სილამაზე მხოლოდ ნიჭი ხორციელების“ და სხვ. ამბობს მარადისობის მერაზზე გადაღვდარი ნიკო ბარათაშვილი და გაჰკივს მთელი კაცობრიობის გამოსაფხიზებლად და გასათვითცნობიერებლად:

„უქმად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვერება“.

და გზა უფალი, შენგან თელილი, გერანო ჩემი მაინც დარჩება“.

აი ასეთი გახლავს ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილი რანდული ქართველი ერის შვილის მარადისობამდე ტრფობა.—ტრფობა უბიწო-უანგარო, რომელსაც სიცოცხლე იმდენად სწყურს, რამდენადაც ის ბრძოლა და შემოქმედება. მიტომაც ნიკო ბარათაშვილის „მერანი“-ც ისეთივე მშვენიერება სიტყვებით შექმნილი, როგორი მშვენიერებაა საღებავებით შექმნილი ჯიოკონდა ლეონარდოსი და ან ხმებისგან ჩამოსხმული ბეთხოვენის მეცხრე სიმფონია...

და რაკი მოქ. კაპანელის თვალები „მშვენიერ“ ასულებს ყოველ წუთს ხედავენ და „ლამაზ“ სიმფონიებით კი მისი სმენა სტკებდა, რასაკვირველია, ის თავისუფლად წამოისერის ისეთ „სიბრძნეს, როგორიც შემდეგს წარმოადგენს: „ვისაც სურვილი არა აქვს, იმისთვის მშვენიერი ელენეს სახე და დახატული ბოლოვი ერთი და იგივეა“.

*) მშვენიერებისა და სილამაზის ცნებებს საუცხოვოთ არკვევს რიპარდშოპანი იხ. მისი „ესთეტიკა“ გვ. 16

წიგნის 1 გვერდზევე ვკითხულობთ შემდეგს: „ოქტომბრის რევოლუციამ გადაშალა... ცხოვრების ახალ საფუძველზე გადაქმნის უდიდესი შესაძლებლობა“.

ან კიდევ 21 გვერდზე: „იმისათვის ვინც ახლად ესწრაფება თვითგანვითარებას, აქვს ფრიად დიდი მნიშვნელობა საიდან უნდა დაიწყოს და რა წესით იკითხოს“-ო.

ასეთი კონსტრუქცია, დამეთანხმეთ, სრულიად მიუღებელია ქართული ენისთვის. სამწუხაროდ წიგნაკში ამგვარი ადგილი ბევრია.

ხშირია აგრეთვე უხერხული გამოთქმებიც, მაგალითად, „რა ნახულია“—„უნახავია“ მაგერ, „მწყაველურ იქმნას“—„შეისწავლოს“ ნაცვლად, „იმასსოვრებენ“—„ისსომებენ“—ის ადგილას; „რა ახალი გვასწავლა წაკითხულმა წიგნმა“ იმის მაგიერ, რომ ისე დაეწერა: „ახალი რა გვასწავლა...“; ან კიდევ: „როგორი ფორმით ეს ცოდნა იშლება მსმენელის წინ“ განა უმჯობესი და უფრო მართებული არ იქნებოდა ეს ადგილი ასე ყოფილიყო ნათარგმნი: „როგორი ფორმით იშლება (ან მეღავენდება) ეს ცოდნა მსმენელის წინაშე“?

ასეთი სტილისტური შეცდომები ამ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან წიგნაკს ფასს და ღირებულებას უკარგავენ და აუცილებლად საჭიროდ ხდის გამოცდილ კალმონის შილაშინს, რედაქციას.

შეიდავშიც არის კორექტურული შეცდომებიც, რაც, რა თქმა უნდა, გამოცემას პოლუსად არ ჩაეთვლება.

საერთოდ კი წიგნაკი ნაწერია სუბუქი და მარტივი ენით, მაინც და მაინც არაა უცხო სიტყვებით ატრფებული და ჩვენი გლეხისა და მუშის ახალგაზრდობისათვის, რომელიც ეგზომ გატაცებით ეწაფება თვითგანვითარებას, იგი მეტად საჭირო და სასარგებლო გამოცემა უნდა ჩაითვალოს.

შემდეგ, რაც აღმოჩენილი არის მგრძნობიერობა ინტენსივად განსაზღვრულ მიმართულებებისადმი სივრცეში. საქმე მასში არის, რომ როდესაც ანტენა გამგზავნი საღვთის მიმართულებით არის, მისიღებ აპარატში ისმის ყველაზე ძლიერი ხმა. ამის მეოხებით, მაიკის მდგომარეობა, რომელიც სინათლის მაგივრად უმავთულო ტელეგრაფით მუშაობს,—შე-

მაშასადამე. მშვენიერება სულს არ ალგობს? ბრძოლად არ მოუწოდებს? შემოქმედებითი გრძნობას არ ალიზანებს?

კარგი მშვენიერება ყოფილა!

მშვენიერება—ეს ხორცსხეული სიბრძნე არ არის? და სიბრძნე ეს უსხეულოა, ე. ი. სულიერი მშვენიერებას არ წარმოადგენს?

მაშ, რა სურს რუსთაველს, როცა ამბობს: „შაირობა უწინარეს სიბრძნის არის ერთი დარგია“?

ოო, რა უბედურებაა, როს თქვენგვარი ადამიანი ტვის ძალს აყენებს.

ტყუილიც კი არ ამბობს დიდი გოეთე თავის „ფაუსტში“: „როდესაც ადამიანს თავში აზრი აქლია საგანგებოდ გამონახულ სიტყვებით ცდილობს თავის უაზრობა დაფაროსო“. ეს სიტყვები საუკეთესოთ ახასიათებს „სული და იდეა“-ს ავტორს.

და თუ გამოიხატული სიტყვათა უაზრობა მისაზნებარია, აბა სხვას რას წარმოადგენს მისი მსჯელობა თვით ისეთ საკითხზე, როგორიც ფორმისა და შინაარსი ურთიერთისადმი დამოკიდებულება.

„სურვილი შემოქმედების „ახალი“ ფორმის შემოღებისა საქართველოში იმ დროს, როდესაც ჩვენ არა ქაქტეს შესწავლილი კლასიკური ფორმები ჩვენი ეროვნული სულიერი მიმდინარეობისა, მიუღებელია თავის თავად: ილია ჭავჭავაძე რა მწერალია—ამბობს ქართველი ინტელიგენტი და თან არც კი იცის, რა დაწერა ილია ჭავჭავაძემ. თითქოს აქ მართლდება პარადოქსი ოსკარ უალდისა: კლასიკის ისეთი მწერალია, —ამბობს უალდი,—რომელსაც ყველა ლაპარაკობს და რომლის ნაწერებს აღარავინ კითხულობსო.“ *)

ნეტავი ერთი თუ მაინც მოიძებნება, მხოლოდ ერთათ ერთი ისეთი ქართველი ინტელიგენტი. რომელიც ილია ჭავჭავაძეზე გაზედავს თქმას—„რა მწერალია“, და თანაც არ წაუკითხავს მისი „განდევლი“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვერივი“ და სხვ. ყველაფრის თქმა შეიძლება ქართველ ინტელიგენტზე, მაგრამ ამის კი არა!

მაგრამ... განვადრდით მისი მსჯელობის ძაფის გაშლა და დავიკრება ის ბრძანებს: „საზოგადო, საკაცობრიო თვალთახედვითაც მიუღებელია წარსულის უარყოფა და მარტო წარმავალი ფორმის პატივისცემა: რა არის, რაც ჩვენ გვზიზილავს დანტესა და გოეთეს ნაწერებში: ფორმა თუ იდეა?.

ასეთ კითხვას სვამს ჩვენი „ფილოსოფოსი“ და უპასუხებს: „აქ (ე. ი. დანტესა და გოეთეს შემოქმედებაში—გა—) ლაპარაკობს იდეა, აზრი, აქ არის განცდა კოლოსალური ნებისყოფისა და არა უშნო პრაქტიკა აქრომატიკისა და კონგლიორისა“.

გოჭოკო ალიანი.
(დასასრული იქნება).

*) იქვე—გვ. 144, 11.
**) იქვე—გვ. 134.

საძილეობა ნამდვილია იქნეს გამოცნობილი თვით ბურჟუაზი და მეტად ბნელ ღამეში.

— **ლაშისა ცის სპექტრი.** პარიზის სამეცნიერო აკადემიაში მ. დიუფეის მიერ წარმოდგენილი ახალი მოხსენება: დიუფემ შესძლო 60 საათიანი ექსპოზიციით მიღება სინათლის სპექტრისკოალიტულ ფოტოგრაფიისა, რომელიც ღამის ციდან გამოდის. ეს სპექტრი აბსოლუტურად მსგავსი არის მზის სპექტრთან ულტრა-ფიოლეტის ფერის სფეროში, რაც იმას ადასტურებს, რომ ეს სინათლე არის ანარეკლი მზის სხივი ჩვენი ატმოსფერის ზედაფენების გაზიან მასებში.

— **აქუსტით ბრძოლა პაეროპლანებთან.** აქუსტიკა გამოსადეგი ხდება პაეროპლანებთან ბრძოლის დროსაც. იმის დროს ფრანგები და ინგლისელები აწევენ კუროს დახმარებას აპარატებს, რომელნიც იტყობინებოდნენ მტრის პაეროპლანებისა და ცეცხლისგან მოახლოებას დაახლოებით 20—30 კილომეტრით. ინგლისური ყულის დამგდები აპარატები წარმოადგენენ განსაკუთრებულ რეზინატორულ ყულებს, რომლებიც მთავალყურის ყუთთან იყვენ შეერთებული. ფრანგები სარგებლობდნენ პატარა კონუს-ყურის დამგდებით, რომლებიც გაძლიერებული იყვენ ელექტრონით. აპარატი საშვალეებს იძლეოდა ხმის მიმართულების გამოცნობის რაც, — თუ საიდანმე მოდიოდა ხმა. ასეთი აპარატები ცნობილ ფიზიკოს სანიაკის კონსტრუქციისა, იდგენ სხვათა შორის, პარიზის ახლოს, მსგავსივე აპარატებზე ცდებს აკეთებდნენ ამერიკელები.

— **საარტილერიო დაზვერვა საჰაერო აქუსტიკით.** საჰაერო აქუსტიკის სფეროში იმმა მრავალი ახალი რამ გამოიყენა და მრავალიც ძველი გა-

იხსნა. უკვე დიდი ხანია სცილობდნენ ზარბაზნის მდგომარეობის გამოცნობის გასროლის ხმით და გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში საფრანგეთში ცდებიც სწარმოებდა ამ მიმართულებით. მაგრამ იმ დროს ზარბაზნებიდან უმთავრესად თვალთ დისანაზ ნიშნებს ესროდნენ და არც კი იყო განსაკუთრებული საჭიროება მათი მდგომარეობის გამოცნობისა ხმის საშვალეებით. მაგრამ თანამედროვე ომები, როდესაც ზარბაზნები გაძლიერებით მალავენ მტრისაგან, ხოლო მიზანი კი სრულიად დაუწახავი არის, — ხმით ორიენტაციობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს. ამ ჟამით ყველა ევროპულ ჯარში არიან ხმის გამოზომი რაზმები და გასულ ომში მათ დიდი როლი შეასრულეს. მსროლელი ზარბაზნის მდგომარეობის გამოცნობა სამი პუნქტიდან ხდება, სადაც დადგმულია ხმის მიმღები აპარატები, რომლებნიც წამის შემდეგ ზარბაზნიდან გასროლისა, ამ ზარბაზნის მდგომარეობა უკვე საცხებით გამოცნობა და მოპირდაპირის ზარბაზნების მისკენ იქნება მიმართული. პირველ ხანებში ხმის გამოზომი რაზმებს ჯარში არ ჰქონდათ მოპოებული არტილერიისტების ნდობა, ხოლო შემდეგმა პრაქტიკამ კი გვიჩვენა მთელი სარგებლობა საარტილერიო დაზვერვის ამ ახალი სახისა სხვათა შორის ცნობილი „ბერტის“ მდგომარეობა, რომელიც პარიზს უშენდა ასი ვერსის მანძილიდან, დანამდებლებით იქნა გამოყვანილი ხმის საშვალეებით. მიუხედავად ამისა პაეროპლანების დაზვერვამ სხვა მდგომარეობა უჩვენა: უფრო სარწმუნოთ პაეროპლანების ჩვენება მიიჩნეოდა და ესროდნენ „ხელოვნურ“ „ბერტას“, ხოლო ნამდვილი კი შემდეგში იქ აღმოჩნდა, საიდანაც ხმის სადგურები უჩვენებდნენ.

მრავალი ესკიზები რომელიც ასე ემარჯვება მხატვრის აგრეთვე ქართულ პოეტთა მოღვაწეთა სურათები. ამავე ოთახში არის პატარა 8 წლის გოგის. (თოიძის შვილია) დახატული კალმით „შეიარაღებული რაინდები“ „ქიდაობა“ და ფერებით ნახატი დეკორატიული — ესკიზი „თამარის და შოთას შეხვედრა“, რომელთა შემსრულებელშიც მოსჩანს უტყუარი ნიჭი.

დასასრულს უნდა შევეხოთ ნიჭიერ მხატვარს ირაკლი თოიძეს, რომელი ახალი დიდი სურათი „რევოლუცია“ არის გამოფენის ცენტრი და იპყრობს თქვენს ყურადღებას. ეს სურათი შესანიშნავია, როგორც ტექნიკით ისე კომპოზიციით და იდეით. აქაა ახალი ძალა, რომელიც შეპყრობილია უსაზღვრო ქარიზმალისგან ნებისყოფით. მშრომელი მუშა, რომელიც ძლიერის ხაზ მოსმით ასახულია ყალბედ შემდგარ ცხენზე წითელი დროშით ხელში და მიიღებს უსაზღვროებისაკენ. მკვეთრი იმ შეუპოვარია ყოველი მისი სახს კუნთები. ამ სურათში მხატვარი სჭერტს სულ სხვა სამყაროს. აქ არის ახალი შეცნობა — თავისებოთა გარემოსი თვით პაერშიც კი ხდება არაჩვეულებრივი მოძრაობა: აქაც ირყევა რალაც. ელვის გრაგნილებში ცეცხლის სვეტად მოიჭრება სამყაროსკენ. გამოურკვეველი სტიქიის ძალა. თქვენ ამ სურათით გრძნობთ, რომ ცის განუსაზღვრელ სფეროშიც ძლიერი გარდატეხა და ისიცა გრძნობთ დედამიწის ამბებს. სურათი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მკვეთრად არის გადმოცემული აგრეთვე სხვა სახეები და ფიგურები. კარგია აგრეთვე მისი ტალი „მთის იდილია“ ფანქარით ნახტი „უანტაზია“ რამოდენიმე პეიზაჟები. ახალ-

გაზრდა ი. თოიძე დიდი ნიჭიერი მხატვარის მქონეა. მან ეს დამატებითი რამოდენიმე სურათი გამოფენებზე და დიდი სიძაბურით დასწავლია ექსპოზიციის გაიგზავნოს სადმე სწავლის დასასრულელად.

ზევით გამომჩნა მღებრიშვილის ქალის ნახატი „პანო“ ქალაქზე, რომელიც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ფერებით და შესრულებით.

შოლოდ იგი განიცდის ირ. თოიძის ზედგულენას, როგორც ხატვის, აგრედვე კომპოზიციის მხრივ. დასასრულს უნდა ვსთქვა, რომ მოსე თოიძემ თავისი სამხატვრო სტუდიის დაარსებით, ძალიან შეუწყო ხელი ახალი ძალების აღმოჩენას, და მას ბლომად მოაწვდა ახალგაზრდობა. აქ არის ყველა დარგის და მდგომარეობის ქალ ვაჟი განურჩევლად ერგებისა, თვით ხალხიდან გამოსული მშრომელი მასა. რომელთა უნარს, ნიჭს სტუდიაში დათმობილი აქვს თავისუფალი ინდივიდუალური შემოქმედების საშვალეობა — შესაძლებლობა. აქ ყველა შრომის მოყვარე ნიჭიერ ახალგაზრდას შეუძლია თავისუფლად მივიდეს ეზიაროს ხელოვნების წმინდა ემბაზს. მოსე თოიძემ ეს სტუდია თავისი პირადი ინიციატივით, მოაწყო. აქნობამდე არსიდან დახმარება არ მიუღია და გარდა ამისა იგი ყოველთვის ეხმარება ნიჭიერ მოწაფეთ სწავლის ფულისაგან განთავსებით. თავის თავად ცხადია, თუ რამოდენად მძიმეა დღევანდელს სიძვირის დროს ასეთი რთული საქმის გაძლიერება. ვუსურვებთ მ. თოიძეს და მის მოწაფეთ სრულს გამარჯვებას დაწყებულს საქმეში.

ვინ.

გოგა თოიძის სამხატვრო სტუდიის გამოფენა

ეს ერთი კვირაა რაც გაიხსნა მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიის გამოფენა რუსთაველის თეატრის შენობაში. გამოფენაზედ ბევრი საყურადღებო ნახატია სტუდიის მოწაფეთა, რომელიც მხატვლის ყურადღებას იქცევს და რომელთაგან შემდგომი კარგი ხელოვანი მხატვარი არიან მოსალოდნელში, რადგანაც ზოგიერთ მათს ნახატს ახიხის უტყუარი ბუნებრივი ნიჭი მხატვრობისა. ამ მოწაფეთა სურათები გამოფენილია 450-მდე. მათი ნახატები შესდგება სამი განყოფილებისაგან: საბავშვო, შინა მრეწველობა და ნატურის კლასი. საბავშვო კლასში მეთაი შემოქმედების მრავალ სახეობა: მათ ახასიათებთ დიდი ფერები სიხარული, ბავშვური სულის სივსაქმე; მათ მიერ ბევრი ნახატია ლეგენდები, ზღაპრები, ისტორიული გადმოცემები, დღესასწაულები, და სხვა. სადაც ფერები მრავალი ნაირი შეხამებაა. აქ ნახავთ „შოთას“, „თამარს“, „ახტისალომის და ეთერის“ შესხედრებს „აღდგომა“ „ქორწილი“, „პირველი მაისი“ და სხვა მრავალი თემები. ამ სურათებზედ ნათლად მოჩანს ბავშვების თავისუფალ ფანტაზიაზე და გადმოცემის უნარი.

მეორე განყოფილების მოწაფეთა ნახატის ნიმუშებიდან ჯერ-ჯერობით გამოფენილი არის საქსოვ ხალხების სახეები, რომელიც შორის მღებრიშვილის, სანაძის, ჯავახიშვილის და ფილიპის ნახატები იქცევენ ყურადღებას მეტად თავისებური ფერების შეხამებით. ნატურის კლასი უფრო საყურადღებოა. და მასზედ ნათლად მოჩანს მოწაფეთა ნიჭი. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ზოგი ერთ ამ მოწაფეთაგანს სულ რამოდენიმე თვეა, რაც მეცადინეობა დაუწყიათ. პორტრეტები ზეთის ფერების უქონლობის გამო პასტელის უხატავთ სქელ გასახვევ ქაღალდზე. გამოფენილ ესკიზებზე კარგს შთაბეჭდილებას სტოვებს თავისებურად გადმოცემულ მოტივებით, ესკიზებში ხედავთ და გრძნობთ მთელ საქართველოს მგზებარე მზით ვერცხლისფერ მთვარის შუქში გახვეულს, ქარიზმლოვანს, მშრომელს მებრძოლს, სვედიანს, მხიარულს; აქ არის ტურფა ფუნება ასახული მრავალი ფერებით, მავალითა სურათები ებრაელების და მანგოლისა, თავიანთი მთვარის სინათლის გადმოცემით და კომპოზიციით ქმნიან რალაც საიდუმლო მისტიურ ჭკერებს, კარგია ებრაელების სურათი „ქალთა ღმერთი ნანა“, თავისი იდეალობით. კარგია აგრედვე მისივე „ქართველი ქალი დაირით“. აქ უკვე აღმოსავლეთის მგზებარე ფერები ასახული. ნიჭიერი ბერეკაშვილიც. მისი ფერები ოქროსავით ელვარებენ, მაგრამ მოხატულობაში ზერელეა. ძნელად „რაოდენ“ ბუნების სხეულების მატერიის სისრულით გადმოცემა. აღსანიშნავია გვანცალაძე, რომლის სურათები საერთო ყურადღებას იქცევს და უსათუოდ კარგი მომავალი აქვს. იგი ღრმად ფერებით, კარგია მისი „სამკედლო“ მუქი ფერებით ნახატი, „შინ დაბრუნებულნი მომკლნი“ მათი ხაზმოსმა ძლიერია და ღრმა ფერების შეხამებით. აქვს აგრედვე სურათი „ქინტუების ცეცვა“, ეს ნახატი გულთხელის ზედ გავლენით და მანერით არის ასახული. ლეივა უსათუოდ ძლიერია მთავარ ფერებისა და ხაზების გადმოცემით კარგია აგრედვე მისი ფერადებით ნახატები ეტიუდები ნამდვილიდან. აქ მკვეთრად აქვს გადმოცემული ფსიქოლოგიური შეგრძნება ხალხისა. იგი მძლავრია აგრედვე „ტიტელა ტანის“ ხატვაში, რასაც ამტკიცებს მისი ნახატები. კარგია მისი „მუშის სახე“ „ზარმანკა“ და განსაკუთრებით ძლიერია მისი ქალიღმელ ნახატი „ხენა“. ამ სურათზედ მოჩანს მუშა ხარების ღამაში ასახვა რომელიც თითქმის დაწმუნებულია არიან გლეხის ყოველ ფიქრში, გულის ნადევში ტ მარჯვით ხალხის ეწყევან შრომის ქაპანს. კარგია აგრედვე მისი გრაფიკული ხა-

სიათის ნახატი „მოედანი ტფილისში“ თავისი მრავალ სახეობით. სურათში მოჩანს ტენიის სიმარჯვე.

კაკაბაძე, როგორც შევიწყეთ, სულ ცოტა ხანი სწავლობდა და ბევრისთვის მიუღწევია. მისი სურათი „მუხარამი“ ნამდვილი ქართული სურათია. მღებრიშვილი გაცილებით ნიჭიერია სტილიზაციაში. მისი ქართული სტილით დახატული „ქალი ხალიჩაზე“ ტახტ-მუთაქებით კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. ნიჭიერად არის დახატული მანგოლის „ქორწილი“ და „აღილი“. პრიმიტიული ნახატები ან. კაპანაძისა და ნადირაძისა კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. („დიდება შოთას“ და „ცეცვა სოფლადა“). კარგია აგრედვე აბაზაშვილის „თათრის დედაკაცი“. გამოფენილი არის აგრედვე მოწაფე ნალბანდიანის სურათები, რომელიც ყურადღებას იქცევს განსაკუთრებით აღსანიშნავია პატარა ბავშვების ჯაფარიძის ნახატები „მუშა“, „ინდიეთის მეფე“ და ჩიხლაძის სურათი „ქართველი ქალის ცეცვა“.

აქვე ნახავთ სამხატვრო სტუდიის ახალგაზრდა დარჯის ფილიპის ნახატს, რომელსაც თავისით დაუწყია ხატვა მიმაბეთ. უნდა ვსთქვათ, რომ ყველა ჩამოთვლა აქ შეუძლებელია. თქვენ უნდა ნახოთ, რომ დარწმუნდეთ ამ ახალგაზრდათა, შემოქმედებითი შრომა — უნარიანობაში, რომელთაც მხატვრობაში კარგი მომავალი აქვთ. გამოფენილია აგრედვე თვით მ. თოიძის 36 სურათი, რომელთა შორის არის რამოდენიმე ძველიც; მაგ. „მწვადის წვა“ და დიდი „დღეობა სალოცავში“, რომელიც დახატულია მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში. ამ სურათებში მხატვარი ძლიერია რეალისტიკა: ცოცხლად არის გადმოცემული ქართული სუფრა. სურათი მძლავრის ხაზ მოსმით არის შესრულებული და მხატვრის რეალისტიკური სკოლის შედეგად უნდა ჩაითვალოს. მართლაც ამ სურათში მოსე თოიძეს ორი ოქროს მედალი აქვს მიღებული. ერთი საქართველოს საიუბილეო გამოფენაზედ 1901 წ. და მეორეც პეტერბურგის XII-ტე საკონკურსო გამოფენაზედ. ეს სურათი ამ 23 წლის წინეთ დაფასებული ყოფილა 4000 მანეთად მაგრამ რადგანაც მხატვარს არ უნდოდა, რომ კერძო პირს ჩავარდნიდა ხელში. სურათი შეუწირავს საქართველოს ისტორიულ-ენოგრაფიული საზოგადოებისათვის.

ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში მხატვარი სულ სხვა გვარადა სჭერტს სამყაროს. იწყობა მისი „იმპრესიონისტული“ მიმართულება, ქვეყანა მისთვის ხდება ფერების სამყარო.

ამ მხრივ საინტერესოა „იმედის ხიხივი“. სურათი კარგად არის შესრულებული ტენიურად და ფერთა შეხამებით. სურათი „გაზაფხულის ზეიმი“ საუცხოო ნაწარმოებია უხვ თვალის მომჭრელ ფერადების შეხამებით ამ სურათში მხატვარს კოლორიტი დიდის ხელოვნებით და სიძლიერით აქვს გადმოცემული. ცხოველის ფერებით არის ასახული ესკიზ. „დღეობა სალოცავში“. კარგია აგრედვე სულ სამიოდე ფერადით ნახატი სურათი „სიყვარულის სახმილი“. აქ მოცემულია მთვარის მიზნედილი ნაზი განათება, რომელიც ქმნის რომანტიკულ გზებას. თითქმის ამ სურათის ჭკერის დროს თქვენ გრძნობთ სიმშრის ტეხილ ბერას. მხატვარი საზოგადოთ ამ გვარ ტონების გადმოცემაში დიდი ხელოვანია. ამის შემდეგ თქვენს ყურადღებას იპყრობს სურათი „აღმოსავლეთის ბაზარი“ თვალის მომჭრელ უხვი დია ფერადებით. აქ მოცემულია ფერებით აღმოსავლეთის ციცილუული გზნება ტეხილი და მათობილი სიმწვავით. აქ ხელოვანი „იმპრესიონისტი“ აღწევს ფერების შეხამებით უმწვერვალეს ფერების სიმშრისა გატყევევით გაჯაღოვებთ ფერთა სიციხველე ლივლივით. არის აგრედვე

საქართველოს მოქალაქეები — და განსაკუთრებით —

ბრძანება № 9.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარია საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარია საბჭოს დადგენილებით საქართველოს სახალხო ბანკის მმართველად დანიშნულია აბხ. ბიბინიშვილი (ბარონი), ხოლო მის მოადგილედ აბხ. ისანო ლორთქიფანიძე.

საქართველოს სახალხო კომისარია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გავაშვილი. სახალხო კომისარია საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. ივნისის . 9 .

ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 100.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარია საბჭოსი.

არა სრულწლოვანთა მეურვეობის საქმის სახალხო სისამართლოს ქვემდებარეობიდან გამოყოფის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარია საბჭოს დადგენს:

1. არა სრულწლოვანთა მეურვეობის საქმე ჩამოერთვას სახალხო მოსამართლეთ და გადაეცეს განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობას.

დაგეგმვა

№ 426

პირადობის მოწმობა მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ნინო ქაჩიაშვილი.

ს. ს. მ. ს. კოლიგრაფიული განყოფ.


გაღმგვილა

რუსთაველის პროსპექტზე № 27.

ყოფილი ევროპული ნომრები, სახელმწიფო ოპერის გვერდით

№ 371 3—3

ლიტერატურული



პოეზია

მხატვრობა

ქანდაკება

ესთეტიკა

კრიტიკა

ყოველ-კვირული სურათებიანი დამატება გაზ. „ტრიბუნისი“. გამოვა მოკლე დროში. მასალები უნდა გამოიგზავნოს „ტრიბუნისი“ მისამართით.